

**შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება**

დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი
	რექტორის საბჭო	ოქმი N5	16.02.2023

განხორციელებული ცვლილებები

N	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის/ბრძანების ნომერი	თარიღი	მუხლი	შინაარსი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და საქმიანობის სფერო	4
მუხლი 3. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა	5
მუხლი 4. სტრუქტურაში შემავალი პერსონალი	5
მუხლი 5. ხარისხის კულტურა	7
მუხლი 6. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები	7
მუხლი 7. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემა და მექანიზმები.....	8
მუხლი 8. დასკვნითი დებულებები	11

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებს და საქმიანობის წესს;
- 1.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის თსა-ს სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მონიტორინგსა და ანალიზში;
- 1.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;
- 1.4 თავის საქმიანობაში ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტებსა და სტანდარტებს;
- 1.5 მოქმედებს თსა-ს წესდების, სამართლებრივი აქტების და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
- 1.6 სამსახურის დებულებას განიხილავს და ამტკიცებს რექტორის საბჭო;
- 1.7 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ექვემდებარება რექტორს და თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები და საქმიანობის სფერო

- 2.1 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის ორგანიზება და წარმართვა;
- 2.2 სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება და მუდმივი განვითარება;
- 2.3 სამეცნიერო-კვლევით და დოქტორანტურის სამსახურთან თანამშრომლობით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმების შემუშავება და მუდმივი განვითარება;
- 2.4 მობილობის, კრედიტების აღიარებისა და პროგრამული თავსებადობის დადგენა;
- 2.5 თსა-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის ამაღლების მიზნით;
- 2.6 თსა-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის განვითარების შეფასება;
- 2.7 სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- 2.8 საერთაშორისო კავშირების დამყარება უმაღლესი განათლების სივრცეში თსა-ს ინტეგრირების ხარისხის გაზრდის მიზნით.
- 2.9 თსა-ს წესდებით და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დამატებითი მოვალეობების განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში.
- 2.10 აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესაბამისი კონკურსების დაგეგმვაში მონაწილეობა და მისი განხორციელების მონიტორინგი;
- 2.11 სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 3. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობაში შედიან:

- 3.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 3.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- 3.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

მუხლი 4. სტრუქტურაში შემავალი პერსონალი

4.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

- 4.1.1 წარმართავს საქმიანობას თსა-ს წესდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად;
- 4.1.2 პასუხისმგებელია სამსახურის ფუნქციების შესრულებაზე გაწერილი პერიოდულობის, პროცედურებისა და მექანიზმების შესაბამისად;
- 4.1.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემავალ თანამშრომლებს უნაწილებს სამსახურეობრივ დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;
- 4.1.4 თსა-ს რექტორთან შეთანხმებით, კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს თსა-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობისას;
- 4.1.5 თანამშრომლობს და ამყარებს კავშირებს საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- 4.1.6 ამზადებს და ანვითარებს სამსახურის ფუნქციებთან დაკავშირებულ დებულებებსა და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, სამსახურის კომპეტენციებს მიკუთვნებულ კორესპონდენციას.
- 4.1.7 შეისწავლის სწავლა-სწავლებისა და შეფასების საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას/პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი დანერგვის მიზნით;
- 4.1.8 ანალიზებს თსა-ს არსებულ მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენის/შენარჩუნების და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მათი აღმოფხვრისა და მომავალში პრევენციისათვის, უკუკავშირს უზრუნებს შესაბამის პირებს და შემდგომში აფასებს რეკომენდაციების შესრულებას;
- 4.1.9 შესაბამისობის დადგენის მიზნით თსა-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან მოპოვებულ მონაცემებს ადარებს სტრატეგიული განვითარების გეგმას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- 4.1.10 პერიოდულად ატარებს პერსონალის ტრენინგს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე;
- 4.1.11 მართავს ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესებს და ამზადებს განაცხადს შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად;
- 4.1.12 ადგენს კურიკულუმის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- 4.1.13 კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს თსა-ს არსებულ კომიტეტებში;
- 4.1.14 მონაწილეობს თსა-ს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავებაში;

- 4.1.15 ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე და წარუდგენს მას ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- 4.1.16 არის რექტორის საბჭოს წევრი, რომლის წინაშეც წარადგენს წლიურ შემაჯამებელ ანგარიშებს.

4.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე:

- 4.2.1 პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფარგლებში მიღებული დავალების დროულ შესრულებაზე;
- 4.2.2 წარმართავს საქმიანობას თსა-ს წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
- 4.2.3 მონაწილეობს სამსახურის ფუნქციებთან დაკავშირებული დებულებების, ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების და სამსახურის კომპეტენციებს მიკუთვნებული კორესპონდენციების შემუშავებაში;
- 4.2.4 მონაწილეობს თსა-ში სწავლა-სწავლების ხარისხის და კვლევითი აქტივობების განხორციელების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შემუშავებაში;
- 4.2.5 კოორდინირებას უწევს სწავლა-სწავლებისა და შეფასების უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას;
- 4.2.6 უზრუნველყოფს თსა-ში მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებას;
- 4.2.7 თანამშრომლობს და აგროვებს საჭირო ინფორმაციას თსა-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან;
- 4.2.8 პერიოდულად ატარებს პერსონალის ტრენინგს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე;
- 4.2.9 მონაწილეობს ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესებში;
- 4.2.10 მონაწილეობს კურიკულუმის შექმნა, შეფასება/განვითარების პროცესში;
- 4.2.11 მართავს და კოორდინირებას უწევს მობილობისა და აღიარების პროცესებს;
- 4.2.12 კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს თსა-ში არსებულ კომიტეტებში;
- 4.2.13 ანგარიშვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წინაშე და წარუდგენს მას სამსახურის საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციას;
- 4.2.14 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

4.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი:

- 4.3.1 ახორციელებს რუტინული გამოკითხვის/შეფასების ორგანიზებას დადგენილი პერიოდულობით;
- 4.3.2 ახდენს პროცედურებით გაუთვალისწინებელი გამოკითხვის/შეფასების ორგანიზებას;
- 4.3.3 სტატისტიკურად ამუშავებს გამოკითხვის/შეფასების შედეგებს;
- 4.3.4 ახორციელებს სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს;
- 4.3.5 შეჯამებულ მონაცემებს გადასცემს სამსახურის უფროსს და მოადგილეს დასკვნის მომზადების მიზნით;

- 4.3.6 კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მოზილობის, კრედიტების აღიარებისა და პროგრამული თავსებადობის დადგენის პროცესებში;
- 4.3.7 კომპეტენციის ფარგლებში პასუხობს შემოსულ კორესპონდენციებს;
- 4.3.8 უკუკავშირს უბრუნებს დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 5. ხარისხის კულტურა

- 5.1 ხარისხის კულტურა მოიცავს თსა-ში ყველა რგოლის მიერ აღიარებულ და გაზიარებულ ღირებულებებს, რომელიც დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამკვიდრებისა და განვითარების ყველაზე ეფექტური და მნიშვნელოვანი გზაა.
- 5.2 დაწესებულებაში ხარისხის კულტურის პრინციპების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია თვით-კრიტიკული და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალის არსებობა. ასეთი პერსონალის არსებობას რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებს:
 - **თანმიმდევრულობა** - მისიასა და ხედვაში გაცხადებული პრიორიტეტების რეალურ საქმიანობაში დანერგვა;
 - **ერთიანი მიდგომა** - თსა-ს ფუნქციონირებაში ჩართულ ყველა მხარესთან ერთიანი სტანდარტებისა და მიდგომების დამკვიდრება;
 - **თანამონაწილეობა** - თითოეული თანამშრომლის მიერ ორგანიზაციის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პოზიციონირების და ხარისხის განვითარებაში წვლილის შეტანა;
 - **გამჭვირვალობა** - შეფასების, მიმდინარე პროცესების და მიღებული შედეგების გაზიარება ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებთან;
 - **ნაკლებად სტრესული და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო** - განვითარებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო, სადაც წახალისებულია ნაკლოვანებებზე ღია და საუბარი სამართლიანობისა და გულწრფელობის პრინციპების დანერგვის მეშვეობით;
 - **ურთიერთპატივისცემა** - თსა ისწრაფვის დანერგოს ურთიერთპატივისცემის პრინციპი დაწესებულების შიგნით, სადაც პატივის სცემენ და ისმენენ ყველა განსხვავებულ აზრს.
 - **ინფორმირებულობა** - თსა ამკვიდრებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპს, სადაც მუდმივად ხდება ინფორმაციის გაზიარება არსებული ხარვეზების, მათი გაუმჯობესებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

მუხლი 6. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოთხი რგოლისგან შედგება და მოიცავს შემდეგ საფეხურებს: დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე (ე.წ. “Plan-Do-Check-Act cycle”).

აღნიშნული პროცედურები მოიცავს როგორც ხარისხის კონტროლის (განახორციელე, შეაფასე) ასევე ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პროცედურებს (განავითარე, დაგეგმე). დინამიური და განმეორებადი პროცედურები ორიენტირებულია თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და შიდა ინსტიტუციური ხარისხის კულტურის განვითარებაზე:



მუხლი 7. თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემა და მექანიზმები

7.1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს თსა-ს შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მისიით განსაზღვრული და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გაწერილი მიზნების მიღწევას.

7.2. თსა-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ხარისხის მართვის, მისი შეფასებისა და მუდმივი გაუმჯობესების პროცედურებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია ხარისხის კულტურის დანერგვა თსა-ს ფუნქციონირების ყველა დონეზე.

7.3 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევები.

7.3.1 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და მექანიზმების განვითარება:

ინსტიტუციური საქმიანობის და თანამშრომლებისა და სტუდენტების კმაყოფილების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით აძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის (QA) და ხარისხის გაუმჯობესების (QI) სიტემებს და შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს.

7.3.2 ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა:

- ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებისამებრ ახორციელებს არსებული დოკუმენტაციის ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას და შედეგებს წარუდგენს რექტორს ანგარიშის სახით.
- ხელმძღვანელობს და მართავს ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას.

7.3.3 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და ადმინისტრირების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება მოიცავს:

- არსებული პროგრამის/ების განხორციელების ხარისხის შეფასებას;
- საჭიროებისამებრ (მაგ. დარგობრივი მახასიათებლის/სტანდარტების განახლების) შესაბამისად არსებული პროგრამის/ების მოდიფიცირების მონიტორინგს;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ვალიდაციაში მონაწილეობას და პროცესის მონიტორინგს.

7.3.3.1 არსებული პროგრამის/ების განხორციელების ხარისხის შეფასება:

- **სასწავლო სილაბუსების რევიზია და დამტკიცება** - ყოველწლიურად, აკადემიური წლის დაწყებამდე 2 კვირით ადრე;
- **სწავლების ხარისხის შეფასება** - ყოველსემესტრულად, სასწავლო პროცესზე (ლექცია, სემინარი, კურაცია) პირდაპირი დაკვირვება მეცადინეობებზე დასწრების გზით;
- **სასწავლო პროცესის შეფასება კლინიკურ გარემოში** - ყოველსემესტრულად, კლინიკაში ვიზიტების განხორციელებით;
- **სასწავლო კურსების შეფასება** - ყოველსემესტრულად, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან;
- **სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის და გამოყენების შესწავლა** - ყოველწლიურად;
- **სტუდენტების აკადემიური მოსწრების ყოველსემესტრული მონიტორინგი;**
- **ლექტორების შეფასება** სწავლებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონცეფციის მიხედვით;
- **პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანობის შესწავლა** - მათ შორის საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის და მისი ხარისხის

მონიტორინგი და შეფასება, გამოცდების შედეგების სისტემური ანალიზი - ყოველსემესტრულად;

- **სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ეფექტიანობის შეფასება** - ყოველსემესტრულად.

მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააანალიზებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ანგარიშს წარუდგენს როგორც პროგრამის ხელმძღვანელს/ებს, ასევე მედიცინის სკოლის დეკანს, შემდგომ სამოქმედოდ.

ფაკულტეტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისას გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის, ისევე როგორც არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში გაზიარებული იქნება ფაკულტეტის განვითარების სამსახურთან, შესაბამისი ტრენინგ-პროგრამებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისათვის.

7.3.3.2 დარგობრივი მახასიათებლის/ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების განახლების შესაბამისად არსებული პროგრამის მოდიფიცირების მონიტორინგი:

საჭიროებისამებრ, პროგრამის განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

7.3.3.3 ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეიმუშავების და ვალიდაციის პროცესების დამტკიცება და მონიტორინგი:

პროგრამის დაგეგმვის, შეიმუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით გაწერილი პროცედურების შესაბამისად.

7.3.4 ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება, მუშაობის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება:

თსა-ს მიზანია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი გუნდის ჩამოყალიბება და შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა. ამის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად აწარმოებს პერსონალის კმაყოფილების კვლევებს შემდეგი მიმართულებით:

- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილება თსა-ში დასაქმებითა და სამუშაო გარემოთი;
- აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების კმაყოფილება თსა-ში დასაქმებითა და სამუშაო გარემოთი;

ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად აგროვებს თითოეული სტრუქტურული ერთეულისგან ანგარიშს, წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააანალიზებს, შეადარებს საანგარიშო პერიოდისათვის განსაზღვრულ სასურველ ნიშნულს და შეუსაბამობის შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს ნიშნულთან მიახლოების მიზნით.

7.3.5 ფაკულტეტის განვითარების მონიტორინგი და შეფასება:

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებისამებრ ატარებს კვლევებს შემდეგი მიმართულებით:

- განხორციელებული ტრენინგებით კმაყოფილების კვლევა;

- სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიის მიმართულებით აკადემიური და მოწვეული პედაგოგების საჭიროებების კვლევა.

მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააანალიზებს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ანგარიშს გადასცემს ფაკულტეტის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურებს შემდგომ სამოქმედოდ.

7.3.6 სტუდენტური სერვისების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება:

სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს მხარდასაჭერად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველ სემესტრულად აწარმოებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებს შემდეგი მიმართულებით:

- სტუდენტთა კმაყოფილება თსა-ში სწავლების საერთო ხარისხით;
- სტუდენტთა კმაყოფილება თსა-ში არსებული სტუდენტური სერვისების შესახებ;

გარდა კმაყოფილების კვლევებისა, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს თსა-ს ადმინისტრაციული მონაცემების შესაბამისობას სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახულ მიზნებთან.

ყოველწლიურად აგროვებს მონაცემებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ და ამავდროულად, აფასებს თსა-ში ჩარიცხული სტუდენტების %-ს, რომელმაც მიმდინარე სასწავლო წელს დატოვა თსა.

ასევე ყოველწლიურად ახორციელებს აპლიკანტთა თსა-ს შესახებ ინფორმირების წყაროების დადგენას.

7.3.7 სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება:

თსა-ს კვლევითი კომპონენტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურის მხრიდან მოწოდებული მონაცემების შესაბამისობას სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან.

მიღებულ შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააანალიზებს, შეადარებს საანგარიშო პერიოდისთვის განსაზღვრულ სასურველ ნიშნულს და შეუსაბამობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახურთან ერთად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ნიშნულთან მიახლოების მიზნით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1 წინამდებარე დებულებას ამტკიცებს რექტორის საბჭო.
- 8.2 სამსახურის დებულებაში ცვლილების განხორციელება ხდება მისი დამტკიცების წესით.
- 8.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს რუტინული მონიტორინგის და შეფასების ფორმები:

- დანართი 1** - სწავლების ხარისხის შეფასება - ლექციაზე დასწრება;
- დანართი 2** - სწავლების ხარისხის შეფასება - სემინარზე დასწრება;
- დანართი 3** - სწავლების ხარისხის შეფასება - კურაციაზე დასწრება;
- დანართი 4** - სასწავლო პროცესის შეფასება კლინიკურ გარემოში;
- დანართი 5** - ლექტორების შეფასება სტუდენტების მხრიდან;
- დანართი 6** - თვისებრივი შეფასება
- დანართი 7** - სასწავლო კურსების შეფასება ლექტორების მხრიდან;
- დანართი 8** - სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მხრიდან;
- დანართი 9** - საგამოცდო პროცესის შეფასება სტუდენტების მხრიდან;
- დანართი 10** - ლექტორების შეფასება ადმინისტრაციის მხრიდან;
- დანართი 11** - ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- დანართი 12** - სტუდენტთა საერთო კმაყოფილების კვლევა;
- დანართი 13** - თსა-ს სტუდენტური სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილება;
- დანართი 14** - თსა-ს შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების წყაროების შესწავლა.